

სტუ-ს სტუდენტთა 87-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “საგზაო სექცია”

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 87-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის განრიგის შესაბამისად, საგზაო სექციაზე კონფერენცია ჩატარდა 2019 წლის 12 ივნისს. მომხსენებელთა გარდა, საგზაო სექციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ფაკულტეტთაშორისი საგზაო დეპარტამენტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. საგზაო სექციაზე მუშაობდა კონფერენციის კონკურსის შედეგების შემაჯამებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე - ნუგზარ რურუა - პროფესორი;

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ბორის მაისურაძე - პროფესორი;

კომისიის წევრები:

კონსტანტინე მჭედლიშვილი - პროფესორი;

თენგიზ პაპუაშვილი - პროფესორი;

ხვიჩა ირემაშვილი - ასოცირებული პროფესორი;

გივი დათუკიშვილი - ასოცირებული პროფესორი;

კომისიის მდივანი - მანუჩარ შიშინაშვილი - ასოცირებული პროფესორი;

დემეტრე ჯანჯალაშვილი - სტუდენტი - ჯგ.#1575.

საგზაო სექციის მუშაობა გახსნა საგზაო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა ნუგზარ რურუამ. კონფერენციის მუშაობის დაწყებამდე მან დიპლომებით დააჯილდოვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 86-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გამარჯვებული სტუდენტები მორის მელია, საბა წიქარიშვილი და ჯაბა ჯინჭარაძე.

სულ მოსმენილ იქნა 19 მოხსენება, მათგან 4 ბაკალავრიატის სწავლების სტუდენტის, 10 - მაგისტრანტის და 5 - დოქტორანტის. მონაწილეებმა მოხსენებები საპრეზენტაციო მასალების თანხლებით წარმოადგინეს, შემდეგ კი უპასუხეს კომისიის წევრების და დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს.

მოხსენებები ოთხი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა:

- ნაშრომის აქტუალურობა;
- ნაშრომში დასმული საკითხის ავტორისეული გადაწყვეტა და დასკვნების დასაბუთება;
- დისკუსია ჟიურის წევრებთან;
- მომხსენებლის გადმოცემის უნარი.

კომისიამ მონაწილეებს მოუსმინა და ერთმანეთის დამოუკიდებლად, სწავლების შესაბამისი საფეხურების მიხედვით გამოავლინა სტუდენტთა 87-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საგზაო სექციის გამარჯვებული სტუდენტები:

ბ ა კ ა ლ ა ვ რ ი ა ტ ი

- | | | |
|------------|---|---------------------------|
| I ადგილი | - | დავით ხოშტარია |
| II ადგილი | - | ილია ლომიძე |
| III ადგილი | - | არჩილ ქურასბედიანი |

მ ა გ ი ს ტ რ ა ტ უ რ ა

- | | | |
|------------|---|---------------------------|
| I ადგილი | - | ჯაბა ჯინჭარაძე |
| II ადგილი | - | ალექსანდრე შველიძე |
| III ადგილი | - | ზურა ფირცხალავა |

დ ო ქ ე ტ ო რ ა ნ ტ უ რ ა

- | | | |
|------------|---|-------|
| I ადგილი | - | ----- |
| II ადგილი | - | ----- |
| III ადგილი | - | ----- |

ფაკულტეტთაშორისი საგზაო დეპარტამენტი ულოცავს სტუდენტებს კონფერენციაში მონაწილეობას, გამარჯვებას და უსურვებს მათ შემდგომ წარმატებებს.

ფოტომასალა



